საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა

2023 წელი და 2023 წლის IV კვარტალი (წინასწარი შედეგები მეცხოველეობის შესახებ)

16.02.2024
www.geostat.ge

16.02.2024

საქართველოს სოფლის მეურნეობა

2023 წელი და 2023 წლის IV კვარტალი

(წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ)

წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 837.6 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემზე 1.9 პროცენტით ნაკლებია. აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 413.0 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.3 პროცენტით ჩამორჩება.

ღორის რაოდენობამ 131.5 ათასი სული შეადგინა, რაც 12.5 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ფრინველის რაოდენობამ 9.5 მლნ. ფრთა შეადგინა, რაც 5.6 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2016-2023 წლების ბოლოს არსებული მდგომარეობით.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2016-2023 წლების ბოლოსათვის

(ათასი სული)



16.02.2024

ღორის სულადობა 2016-2023 წლების ბოლოსათვის

(ათასი სული)



*წინასწარი მონაცემები.

ფრინველის რაოდენობა 2016-2023 წლების ბოლოსათვის

(ათასი ფრთა)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2024

წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის IV კვარტალში რძის წარმოებამ 102.8 მილიონი ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.8 პროცენტით მეტია. 2023 წლის რძის წარმოების წლიური მაჩვენებელი 585.4 მილიონი ლიტრით განისაზღვრა, რაც 3.6 პროცენტით აღემატება 2022 წლის შედეგს.

2023 წლის IV კვარტალში ხორცის წარმოებამ 23.3 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 3.3 პროცენტით ნაკლებია. 2023 წელს ხორცის წლიურმა წარმოებამ 76.9 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 3.1 პროცენტით აღემატება.

2023 წლის IV კვარტალში კვერცხის წარმოება 157.9 მილიონი ცალი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0.6 პროცენტით ნაკლებია. 2023 წელს კვერცხის წლიურმა წარმოებამ 637.8 მილიონი ცალი და 2022 წელთან შედარებით 2.6 პროცენტით ნაკლები შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2016-2023 წლებში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2016-2023 წლებში

(მლნ. ლიტრი)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2024

ხორცის წარმოება 2016-2023 წლებში
(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2016-2023 წლებში
(მლნ. ცალი)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2024

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2022-2023 წლების მაჩვენებლები ქვეყანაში არსებული პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტ-იმპორტის, ასევე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 2022-2023 წლებში პერიოდის ბოლოსათვის

(ათასი სული)

	2022				2023*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1 009.2	985.0	922.8	853.7	929.8	929.7	864.5	837.6
მათ შორის ფური და ფურკამეჩი	455.7	455.7	445.0	431.4	448.2	446.5	428.2	413.0
ღორი	177.7	205.3	211.9	150.2	159.5	161.8	168.0	131.5
ფრინველი (ათასი ფრთა)	8 962.1	10 841.1	9 819.4	8 955.8	9 209.5	10 904.0	11 059.5	9 459.8

*წინასწარი მონაცემები.

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტი 2022-2023 წლებში

(ათასი სული)

	2022					2023*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	18.4	25.6	48.7	38.9	**131.6**	19.6	44.8	61.8	47.3	**173.4**
ღორი	0.4	0.3	1.8	1.0	**3.5**	0.1	0.1	-	-	**0.2**
ფრინველი (ათასი ფრთა)	1 930.7	3 358.9	3 441.3	4 873.3	**13 604.1**	3 472.7	3 937.7	3 226.9	4 687.2	**15 324.6**

*წინასწარი მონაცემები.

16.02.2024

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის იმპორტი 2022-2023 წლებში

(ათასი სული)

	2022					2023*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0.3	1.1	0.2	0.5	**2.0**	0.9	3.5	9.9	27.2	**41.4**
ღორი	18.8	23.3	26.3	34.3	**102.7**	28.3	36.0	44.9	48.2	**157.5**
ფრინველი (ათასი ფრთა)	1 733.8	1 219.8	2 111.2	2 069.9	**7 134.7**	2 431.5	2 455.3	2 151.5	2 502.1	**9 540.4**

*წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2022-2023 წლებში

	2022					2023*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
ხორცი (ათასი ტონა)	16.8	18.9	14.9	24.1	**74.6**	18.1	17.3	18.2	23.3	**76.9**
რძე (მლნ. ლიტრი)	110.4	195.1	163.0	96.3	**564.8**	105.7	206.0	170.9	102.8	**585.4**
კვერცხი (მლნ. ცალი)	164.9	170.4	160.5	158.9	**654.7**	169.9	161.4	148.6	157.9	**637.8**

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:

- მოვლენა არ არსებობს.

2023 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2024 წლის 14 ივნისს.

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge